

## სასწავლო უნივერსიტეტის მისია

- 3.1. სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა სასწავლო და სამეცნიერო სივრცეში საგანმანათლებლო საქმიანობა, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული ცნობიერებისა და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება, ახალგაზრდა მაღალკვალიფიცირებული პროფესიონალი კადრების მომზადება;
- 3.2. უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა;
- 3.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია;
- 3.3. შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სტუდენტთა დასაქმებისა და ინიციატივების მხარდაჭერა;
- 3.4 უცხოელი და ადგილობრივი სტუდენტების დაახლოება, სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია.

### 3. 5. მისიის განსახორციელებლად სასწავლო უნივერსიტეტი:

- ა) ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ სტანდარტებითა და რეკომენდაციებით;
- ბ)ახორციელებს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას;
- გ) ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
- დ) ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას;
- ე) ხელს უწყობს კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მოზიდვას;
- ვ)ზრუნავს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- ზ) აახლებს სასწავლო პროცესის ინფრასტრუქტურას;
- თ) შეიმუშავებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების მოკლევადიან (სამწლიან) და გრძელვადიან (სვიდწლიან ) სტრატეგიული განვითარების გეგმებს;
- ი) ხელს უწყობს ინდივიდის პიროვნული და პროფესიული ზრდისათვის გარემოს შექმნას და უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების მიღებას;
- კ) განსაზღვრავს მისაღებ კონტიგენტს, აკადემიური პროგრამების რაოდენობას და მისი შემდგომი გაზრდის შესაძლებლობებს;
- ლ) ადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტს და განკარგავს მის ხარჯვით ნაწილს;
- მ) აწყობს დამსაქმებელთა და სტუდენტთა შეხვედრებს, ეხმარება მათ შემდომ თანამშრომლობაში;
- ნ) ხელს უწყობს სასწავლო უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას;